ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 225
ოქტომბრის 23, ოთხშაბათი 1902 წ.
1877

ივერია

№ 225
ოქტომბრის 23, ოთხშაბათი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1903 წელს

გაზეთი „ივერია" გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა,

ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ თ უ მ ა ნ ი ა. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც ახლავე დაიბარებს გაზეთს მერმისისთვის და ერთს თუმანს წარმოადგენს, ამა ნოემბრისა და დეკემბრის ნომრები მუქთად გაეგზავნება.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის" რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერ.-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).

ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში, აგრეთვე სოსიკო მერკვილაძესთან.

ბათუმში: ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში, და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).

შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.

განჯაში:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).

გორში:—ანტონ კასრაძესთან.

პირველ ნოემბრიდგან წლის დამლევამდე
„ი ვ ე რ ი ა"
ჰღირს 2 მანეთი და 75 კაპეიკი

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія".

ს.-პეტერბურგის კომპანია
„ნ ა დ ე ჟ დ ა"

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა . . . . 1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა . . . . 2.664,808 მან.

I. გაგზავნა ტვირთისა.

30 სააგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, ციმბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში სხვა-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩაბარებას ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის ხარჯზე ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, სადა ბარგი და საქონელი უნდა იქმნას ჩაბარებული და სხ.).

ინახავს საქონლისა შეღავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და ამ დრომდის საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნ ა ვ ო ს ნ ო ბ ა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში საველელი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისთვის, აგრეთვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავლიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უმთავრესნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (სიბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

III. დ ა ზ ღ ვ ე ვ ი ს ო პ ე რ ა ც ი ე ბ ი.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით

ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისავაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მთელი საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის „**ნადეჟდას**"-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზე, სახლის № 10.

[illegible] და რწმუნებულნი: საზღვაო ნაოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნაოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო სასახლის ქუჩაზედ, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში. ტელეფონი № 98.

(120—6.—41)

ერევნის მოედანი, № 3.

ფოტოგრაფია ა. ს. როინაშვილისა

(საკუთრება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა)

დასაჩუქრებული უმაღლესის ჯილდოებით.

ფოტოგრაფიას მოეპოვება მრავალგვარი კოლექცია კავკასიურ ტიპებისა და ბუნების სურათებისა, აგრეთვე ახლად გადაღებული სურათები **საქართველოს არქეოლოგიურ ნაშთებისა.**

ფოტოგრაფია ჰკისრულობს ყოველგვარს სამუშაოს იაფ ფასად: სურათების გადაღებას და უკვე გადაღებულის სურათების გადიდებას.

ფოტოგრაფიაში იყიდება ახალი სურათი **შოთა რუსთაველისა**, გადმოღებული მხატვის ბუროვის სურათიდან, და აგრეთვე სურათები ჩვენის მწერლებისა და არტისტებისა.

(3—მ—2)

№ 8. ტელეფონი 617.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 24 ოკდომბერს, 1902 წ.

ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

სოდომის წარღვნა

დრამა 5 მოქ. ზუდერმანისა, თარგ. მ. გველესიანისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. რონელი, მახვილი. ბ-ნნი: ანანიაშვილი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ი. ივანიძე, კ. მესხი, კ. შათირიშვილი, და სხვ.

ადგილების ფასი: ლოჟები 5 მანეთიდან 10 მან.-დე; პარტერი 70 კ.-დგან 3 მანეთამდე, ამფითეატრი 80 კ.-დან 1 მ. 50 კ.-მდე; გალერეია 25 კ.-დან 45 კ.-მდე.

შეგირდებისათვის ადგილები 60 კაპ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად „უბედურ ვარსკვლავზე", „მუშაკი და ნებიერი", „ძალა აღმართსა ხნავს".

თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს, პიესის მოქმედების დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროვო-დროს მოქმედების შეწყვეტა პიესას ახდენს და მსახიობთაც აკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკრავად.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

თავად-აზნაურობის თეატრი

ტელეფონი 617.

დღეს, ოთხშაბათს, 23-ს ოკდომბერს, ხარკოვის რუსულის ოპერის არტისტების მიერ, **ა. პ. ბონაჩიჩის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

ევგენი ონეგინი

სალირიკო სცენები 3 მოქმედ. და 7 სურათად. მუსიკა ჩაიკოვსკისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: გაშინსკისა, დობრჟანსკისა, სკორუპსკისა, ბაუერი; ბ-ნნი ბონაჩიჩი, პოლუიანოვი, ტომაშევიჩი, კაზიმირო, პეტროვი, სვობოდინი და სხვ.

კაპელმეისტერი მ. მ. **ბუქშა.**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადგილების ფასები დაკლებულია.

ხვალ, ხუთშაბათს, 24 ოკდომბერს, ტფილისის კრუჟოკში წარმოდგენილი იქნება ოპ. **ლაკმე.**

კასსა გაღებულია დილის 10 საათ. 3-მდე და საღამოს 6-დამ წარმოდგენის გათავებამდე.

უფროსი რეჟისორი **ივ. ფითოევი.**

ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, 30. ტელეფონი № 450

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 10—1-დე და საღამოთი 6—8-დე. წლ.

იბეჭდება და გამოვა ნოემბერში 1903 წ.

საქართველოს კალენდარი

(ვ. გუნიასი),

გამოცემა „ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოებისა".

კალენდარი დასურათებული იქნება მრავალის სურათით, როგორც ჩვენის, ისე უცხოეთის ცხოვრებიდან. კალენდარში მოთავსებული იქნება გარდა ჩვეულებრივ საკალენდრო ცნობებისა სალიტერატურო განყოფილებაც.

მიიღება განცხადება კალენდარში დასაბეჭდად

შ ე მ დ ე გ ი ს პ ი რ ო ბ ე ბ ი თ:

კალენდრის თავში მთელი გვერდი ღირს—10 მან,, $1/2$ გვერდი—6 მან.; კალენდრის ბოლოში: 1 გვერდი—7 მ., $1/2$ გვერდი—4 მან., $1/4$ გვერდი—2 მ-, მარტო ადრესის გამოცხადება—1 მ.

განცხადება მიიღება: ტფილისში—ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში, ბათუმში—მ. ნიკოლაძესთან და სპ. ჭელიძესთან, ქუთაისში—ვ. ბეჟანეიშვილთან და მიტ. ლალიძესთან.

ნოემბერშივე გამოვა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" გამოცემა

კ ე დ ლ ი ს კ ა ლ ე ნ დ ა რ ი.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე, ხოლო საღამოობით 5—7-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 9—2-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38.

(წლ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, ნერვებისა და შინაგანის ავადმყოფისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

მ. ა. თარხანოვი. $1—1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. $1—1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ა. ნ. შჰაკოვსკი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტეპარია) შინაგანისა, ვენერიულ და კანის ავადმყოფობისა.

მ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон.

(წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: 9—10.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 9—10 ს.

გრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

ტფილისი, 23 ოკდომბერი.

ჩემი შენ გითხარით და გული მოგიკალით, სწორედ „ცნობის ფურცელზეა" ზედ გამოჭრილი ეს სიტყვები. იგი ჩვენ გვიკიჟინებს მეხსიერების დასუსტებას, და საგნების ერთმანეთში არევას, თუმცა პირველიცა და მეორე სენიც, როგორც მკითხველი დაინახავს, კაი ხანია, რაც ამ პატივცემულ გაზეთს შეჰყრია. მაგალითად, ამას წინად „ცნობის ფურცლის" „პრესსამ" ცილი დასწამა „ივერიას", ვითომც ეს უკანასკნელი გაზეთი ფიქრობდეს, რომ სომხების განდევნა საქართველოდგან შესაძლებელია ამ ახლო მომავალშიო. როდესაც „ცნობის ფურცლის" ამ საქციელს „ივერიამ" შესაფერი სახელი უწოდა, მან მოიყვანა „ივერიის" გასამტყუნებლად „ივერიიდამვე" შემდეგი ადგილი: „ქართველი ერი ვერ აიტანს ამ სამარცხვინო მონობას (სომხობის ბატონობას). როდესაც თავის მდგომარეობას შეიგნებს, გამოუცხადებს სომხებს ბოიკოტს... მაშინ სომხები იძულებულნი შეიქმნებიან, ბარგი აიკრან და, როგორც მობრძანდნენ, ისე წაბრძანდნენ აქედგან".

მაგრამ, სამწუხაროდ, „პრესსის" შემადგენელს დავიწყებია მოეყვანა „ივერიის" იმავე წერილიდან ერთი ადგილი, სადაც ავტორი ამბობს, რომ ამგვარი „ბოიკოტი" მხოლოდ შორს მომავალშია შესაძლებელი, ე. ი. მაშინ, როდესაც ხალხი თავის მდგომარეობას შეიგნებს. დღეს-კი უმთავრეს იარაღად, წინააღმდეგ „ცნობის ფურცლისა", უნდა მივიჩნიოთ სწავლა-განათლების გავრცელება ხალხში. აი ამას ამბობდა „ივერიის" ის წერილი, რომელიც „ცნობის ფურცელს" მოჰყავს მოწმად. „ცნობის ფურცელმა" და „კვალმა"-კი „ივერიას" ის აზრი მიაწერეს, ვითომ იგი ახლავე ქადაგებდეს ამ პოლიტიკას. რა უნდა ვუწოდოთ ამგვარ ლიტერატურულ საქციელს?! თქვენ ნება გაქვთ არ დაეთანხმოთ თქვენის მოპირდაპირის რომელსამე აზრს, მაგრამ ამ აზრის გადამახინჯების, ცილისწამების ნება-კი არა გაქვთ.

საკვირველია სწორედ, რად ებღაუჭებიან ხსენებული გაზეთები მხოლოდ ამ „ბოიკოტს", რომლის შესახებაც თვით „ივერიამ" განაცხადა, რომ იგი ჯერ გამოუდეგარია აღმოსავლეთ საქართველოს საეკონომიო პოლიტიკაშიო. რა მნიშვნელობა აქვს „ივერიის" სიტყვას იმის შესახებ, რაც შესაძლებელია იქმნეს, ვინ იცის, როდის. დავამშვიდებთ პატივცემულ გაზეთებს და დავარწმუნებთ, რომ მომავლის შესახებ არავის არ ძალუძს დაჯეშმარიტებით იწინასწარმეტყველოს. ადვილად შესაძლებელია, რომ ჩვენი სიტყვა არ გამართლდეს, თუმცა ისიც შესაძლებელია, რომ „ცნობის ფურცლისა" და „კვალის" მოფიქრებაც(?) გაცრუოს ჟამთა ვითარებამ.

დიაღ, ბატონებო, ნურაფერს უკატრავად, თუ მოგახსენებთ, რომ ქარის წისქვილებს ებრძვით.

ჩვენს მთავარ აზრს ყურადღებას არ აქცევთ, აფუჩეჩებთ, ჩვენი თანამედროვე შინაური პოლიტიკა ვერ შეგიგნიათ და გვაწერთ იმას, რაც არ გვითქვამს, რაც ჩვენ თვითონ შესაძლებლად არ მიგვაჩნია.

ხელ-მეორედ გკითხავთ, რა ვუწოდოთ ამ თქვენს საქციელს?!

„ვის გაუგონია, რომ იმერეთში სომხისათვის ბოიკოტი გამოეცხადებინოთ, ე. ი. ან არ ეყიდოთ, ან არ მიეყიდოთ მისთვის რამე!" კითხულობს ავტორი გაკვირვებით. ყველას გაუგონია ავტორის მეტს; ყველას გაუგონია, რომ ზუგდიდისა და ოზურგეთის ვაჭრები მალე ამოაკვეთინებენ ხოლმე სომეხს ფეხს მათს ქალაქებში. როგორია ეს ბოიკოტი, ეს სულ სხვა საკითხია.

ავტორს ჰგონია, ვითომც „ივერია" „ბოიკოტს" და «კონკურენციას» ერთმანეთისაგან ვერ არჩევდეს, მაგრამ ამის დასამტკიცებლად არავითა-

რი საბუთი არ მოჰყავს, რადგან „ცნობის ფურცელი“, საზოგადოდ, მწყრალად პირძანდება საბუთებზედ.

დასასრულ, არ შეგვიძლია ჩვენი გაკვირვება არ გამოვაცხადოთ „ცნობის ფურცლის“ ცრუ რწმენის შესახებ, ვითომ იგი, წინააღმდეგ „მოხუცებული „ივერიისა“, ახალგაზდაა, ახალი აზრების წარმომადგენელი. ჩვენი პირუთვნელი და მიუდგომელი აზრი-კი ამ გაზეთის შესახებ, აი ეს არის: „ცნობის ფურცელი“ წარმოადგენს სრულიად უფერულ, ინდიფერენტიზმით აღსავსე, უშინაარსო გაზეთს. იგი „ივერიაზე“ მხოლოდ მით არის უფრო ახალგაზრდა, რომ უფრო გვიან დაბადებულია.

მაგრამ ნუ აუხვევს „ცნობის ფურცელს“ მარტო ეს გარემოება თვალს, ნუ დაუჯერებს ზოგიერთ ფლიდ სომხის პუბლიცისტს და ნუ ჩასთვლის ტყვილა თავს ახალ-გაზრდად, ვიდრე მას სულ სხვა სიო, სხვა სული არ დაჰბერავს.

ქართველების დამარცხება ქალაქის არჩევნებზე ძლიერ ეუცხოვა „ცნობის ფურცელს“. იგი ამის გამო სამდურავებს უცხადებს „სომხის შოვინისტებს“. 1) „ცნობის ფურცლის“ ეს გაოცება, თუმცა საზოგადოდ საკვირველია, მაგრამ ჩვენ, ცხადია არ გაგვიკვირდებოდა, რადგან ეს პატივცემული გაზეთი დარწმუნებული იყო, რომ თვით სომხები გაათეთრებდნენ ქართველებს. ეს ისეთი საბრალო პუბლიცისტური უსუსურობაა, სიბრმავეა, რომლის მსგავსს ძნელად შეხვდებით.

ამ უსუსურობას „ცნობის ფურცელმა“ ის არა საკადრისი საქციელიც ზედ დაურთო, რომ თავისი ბრმა შეცდომა, თავისი პუბლიცისტური სიბეცე „ივერიას“ მოახვია თავზე. დღეს, როდესაც „ივერიის“ აზრი „სომხის ბურჟუაზიის“ შესახებ გამართლდა, როდესაც ერთხელ კიდევ დამტკიცდა, რომ ჩვენ მხოლოდ ჩვენი თავის იმედი უნდა გვქონდეს ყველაფერში, ყველაზე ნაკლებად-კი სომხის ბურჟუაზიისა, „ცნობ. ფურცელი“ „ივერიას“ დასცინის და თან დექციას უკითხავს, რომ არა თუ „ბოიკოტი“ არ არის შესაძლებელი, არამედ „ისიც-კი ვერ მოხერხდა, რომ არჩევნებისთვის 230 ქართველ ამომრჩევლიდან ნახევარს მაინც მოეყარა თავიო“ 2). არა, „ივერიას“ არც „ბოიკოტი“ მიაჩნია შესაძლებლად ახლა, არც არჩევნებზე გამარჯვება, წინააღმდეგ „ცნობ. ფურცლისა“, რადგან კარგად ესმის, რომ ეხლანდელი გარემოების ბატონები სომხების ბურჟუაზიაა. „ივერიას“ თავის დღეში არ უთქვამს და ვერც იტყოდა მას, რაცა სთქვა „ცნობის ფურცელმა“, ე. ი. რომ სომხები დაეხმარებიან ქართველებს ქართველების გათეთრებაშით. „ივერიასა“ სწამს გამარჯვება მხოლოდ მომავალში, წინააღმდეგ „ცნობის-ფურცლისა“. „ივერიასა“ სწამს აგრეთვე, რომ ამ გამარჯვებისათვის საჭიროა ნელი, მაგრამ მედგარი წინსვლა განათლებისა და კულტურის გზაზე.

ამას გარდა, „ივერია“ კიდევ მით განირჩევა „ცნობ. ფურცლისაგან“ რომ ნიშნს არ უგებს ქართველობას, მიტომ, რომ მისი მოქალაქობა ჯერ ასე დაქვეითებულია. „ივერიას“ ესმის მიზეზი ამ დაქვეითებისა და თავის დროშაზე დაუწერია არა დაცინვა, არამედ მხნე, სერიოზული შრომა კულტურისა და განათლების ნიადაგზე.

აქ არ შეგვიძლია ორიოდე სიტყვა არ მოვახსენოთ „ცნობის ფურცლის“ სულის ჩამდგმელ თანამშრომელს რომელიც „გრინგმუტს“ გვადარებდა, რადგან სომხის ბურჟუაზიას ბრძოლა გამოვუცხადეთ. „ცნობის ფურცელი“ ვერ არჩევს, რა განსხვავებაა ჩვენსა და „გრინგმუტს“ შორის. ჩვენ, თუ შეიძლება ითქვას, ერთმანერთის მოწინააღმდეგე პოლიუსები გახლავართ. „გრინგმუტი“ ებრძვის ჩაგრულთ, მაშინ როდესაც ჩვენ ვებრძვით მჩაგვრელთ. ჩვენ ვებრძვით სომხის ბურჟუაზიას, რომელიც სისხლსა სწოვს ქართველ ერს და ჰხუთავს მის სულს. ჩვენ ვებრძვით ამ ბურჟუაზიის განმანადგურებელ შოვინისტურ პოლიტიკას საქართველოში, ჩვენ გვსურს დავიცვათ მათგან ქართული ენა, ქართველთ სიმდიდრე, საზოგადოდ ქართული კულტურა. ნუ-თუ ამასა ჰქვიან გრინგმუტობა?!.

---

1) იხ. „ცნ. ფურც.“ №№ 24 და 29 სეკდემბ.

2) იხ. „ცნობ. ფურც.“ 26 სეკდ. 1902 წ.

ტფილისი

◆ ორშაბათს, 21 ოკდომბერს, ხელმწიფე იმპერატორის ტახტზედ აბრძანების დღეს, მათმა მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობამ, ექსარხოსმა ალექსიმ, ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარში გარდაიხადა წირვა და შემდეგ ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელოდ პარაკლისი მრავალ-ჟამიერით; მათ მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობასთან ერთად მწირველნი იყვნენ ეპისკოპოზნი გორისა და ალავერდისა ქალაქის სამღვდელოებითურთ; წირვას დაესწრნენ გენერლობა, სხვა-და-სხვა უწყებათა და კერძო დაწესებულებათა უფროსნი და წარმომადგენელნი და მრავალი ხალხი, ამავე დღეს ტფილისის სხვა ეკკლესიებშიაც გარდახდილ იქმნა ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელოდ წირვა და პარაკლისი; არსენალის გორიდგან დასცალეს 21-ჯერ ზარბაზანი.

◆ კვირას, 20 ოკდომბერს, პირველ გიმნაზიის სადგომში, ტფილისის კომენდანტის ბ-ნ რეიტერის თავმჯდომარეობით მოხდა პირუტყვთა მფარველ საზოგადოების წევრთა კრება. თავმჯდომარემ მოახსენა კრებას, რომ ამ ჟამად რიყის ქუჩაზედ უკვე მზად არის ამ საზოგადოების ახალი სადგომი და სასურველია ეს სადგომი ეკურთხოს 8 ნოემბერს, რადგანაც ამავე დღეს დღესასწაულია აწ ამ საზოგადოების მფარველის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძისა. კრება დიდის თანაგრძნობით მიეგება თავმჯდომარის ამისთანა წინადადებას. კრებამვე გარდასწყვიტა ამავე დღეს გადაიხადონ 25 წლის არსებობის საიუბილეო დღესასწაული; შემდეგ თავმჯდომარემ მოახსენა კრებას, რომ საზოგადოების ახალი სადგომის აგებაზედ დაგვედო 8000 მ. მან. ვალი და ამის გასასტუმრებლად გამგეობამ გარდასწყვიტა ეს სახლი რომელსამე ბანკში დაგირავდესო. კრებამ მოიწონა ეს აზრი და დაავალა გამგეობას, დააგიროს სახლი სათავად-აზნაურო ბანკში და ამ ფულით გაისტუმროს მოვალეები.

◆ ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ ბ-ნ გარსევან რატიშვილისაგან ავქ. ცაგარლის ფონდის სასარგებლოდ მიიღო თოთხმეტი მანეთი.

მოგვყავს აქვე შემომწირველთა სია. შესწირეს: გრ. რატიანმა 2 მ.ან, ნესტორ რატიანმა 1 მ., იოსებ გველესიანმა 1 მ., გიორგი ლაზარიშვილმა 1 მ., დიმიტრი ჯუმუხაძემ 2 მ., გიორგი ჯუმუხაძემ 2 მ., იოსებ ბედიანიძემ 1 მ., იაგორ მაისურაძემ 1 მ., გიორგი აბულაძემ 1 მ., ილარიონ ხარაევმა 1 მან., გიორგი ტოროშელიძემ 50 კაპ. და ლ. ჯავახოვმა 50 კაპ.

◆ დღეს კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგურში დანიშნულია ამა საზოგადოების წევრთა კრება; კრება განიხილავს იმ კომისიის მოხსენებას, რომელსაც დავალებული ჰქონდა შეემუშავებინა და დაესახელებინა ღონის ძიებანი, სამეურნეო-სამრეწველო ცოდნის გასავრცელებლად სოფლის მემამულეთა შორის.

◆ კვირას, 20 ოკდომბერს, დანიშნული იყო ქალაქის დურგალთა ამხანაგობის წევრთა კრება; რადგანაც კრებაზედ არ გამოცხადდა წევრთა საკმარისი რიცხვი, ამიტომ კრება გადიდო 27 ოკდომბრისათვის.

◆ გუშინ, 22 ოკდომბერს, დანიშნული იყო იმ საზოგადოების წევრთა კრება, რომელიც შემწეობას უწევს ქალაქის სასწავლებლებში ღარიბ მოსწავლეთ; კრებას უნდა გაენაწილებინა და დაენიშნა შემწეობა მოსწავლეთათვის.

◆ 19 ოკდომბერს, გომბორსა და უჯარმას შუა ავაზაკებს გაუცარცვავთ ტფილისიდგან თელავში მიმავალი ფოსტა; ავაზაკები, რიცხვით 8 კაცი, უჯარმიდგან რვა ვერსის მანძილზედ, ჩასაფრებულნი ყოფილან ხშირ ბუჩქნარში; როდესაც ეტლი დამხარდამხარებულა ამ ადგილს, ავაზაკებს დაუცლიათ თოფები. მოუკლავთ დარაჯი, რომელიც ფოსტას ახლდა, მძიმედ დაუჭრიათ ფოსტის მოხელე, მეეტლეს-კი მოუსწვრია გაქცევა. შემდეგ, რა უნახავთ, რომ ხმის გამცემი აღარავინ არის, მიუყვიათ ხელი ცარცვისათვის; გაუჭრიათ ტყავის აბგა, ამოუღიათ 8,000 მანეთი და შეუმჩნევლად დამალულან.

◆ დღეს, ქალაქის გამგეობაში დანიშნულია შეერთებული კრება გამგეობისა, საბჭოს აღმსრულებელ საფინანსო კომისიასა და ქალაქის ქუჩების ელექტრონით განათების კომისიის წევრთა. კრებაზედ მიწვეულნი არიან საბჭოს ხმოსანი-ტეხნიკოსები; კრებამ უნდა განიხილოს საბოლოვოდ „ჰელიოსის“ მიერ წარდგენილი პროექტი ქუჩების განათებისა, რომელიც შემდეგ გეგზავნება შინაგან საქმეთა სამინისტროს დასამტკიცებლად.

◆ ქალაქის გამგეობამ აბესალომოვის სახელობაზედ დაარსებული სტიპენდია დაუნიშნა დედათა პირველ გიმნაზიის მეექვსე კლასის მოწაფეს კაჯარდუზოვისას; ამას გარდა, აბესალომოვის სახელობაზედ ვ-ქთა პირველ გიმნაზიაში გაიხსნა სტიპენდი-, რომელიც უნდა მიეცეს ქართველ მოწაფეს; ამ სტიპენდიის მისაღებად ჯერჯერობით გამგეობისათვის მიურთმევია თხოვნა ორს მოწაფეს.

◆ როგორც გარდმოგვცეს, ბ-ნ ტიმოფეევს შეუტანია შემდეგის შინაარსის ქაღალდი კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში: სანამ გავარჩევდეთ უმაღლესად დამტკიცებულს პროგრამას, კარგი იქნება გამოვიკვლიოთ მეურნეთა მიწად-მფლობელობა იურიდიულადაო, რადგანაც ამ საგნის გამოკვლევა საფუძვლად უნდა დაედოს ზემოხსენებულ პროგრამის მუხლმუხლად გარჩევასაო.

◆ ტფილისში იმყოფება ამ ჟამად ჰოფმეისტერი უმაღლესის კარისა ტფილისის გუბერნატორად ნამყოფი თ-დი გ. დ. შარვაშიძე.

◆ მივაქცევთ ჩვენის ქველ-მოქმედების ყურადღებას საწყალისა და ხელ-მოკლე მუშა კაცის ალექსი მინასოვის გაჭირებულს მდგომარეობაზედ. საცოდავი კაცი ისეთს უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილი, თავის ცოლის გარდაცვალების შემდეგ, რომ იძულებულია თავისი ღვიძლი ვაჟი-შვილიც-კი გაიმეტოს და სხვას მისცეს აღსაზრდელად. ამ ნომერში იბეჭდება მისი განცხადება. ალექსი მინასოვი სთხოვს ღვთისნიერ ქველ-მოქმედთ, არ შემიძლიან ჩემის შვილის გამოკვება და, ღვთის გულისათვის, იკისრეთ მისი აღზრდა, ან თუ გნებავთ იშვილეთო. ჩვენის ფიქრით, მართლა არავითარი სალსარი არ უნდა ჰქონდეს კაცს, რომ თავისი შვილი სხვის მისაცემად გაიმეტოს.

◆ ქუთაისიდგან დეპეშით ატყობინებენ „ცნ. ფ.“-ს: ქალაქის საბჭომ 19 ოკდომბრის კრებაზე ქალაქის გამგეობის წევრად აირჩია ვლ. ალშიბაია და ვლ. კანდელაკი.

◆ ქალაქის გამგეობამ, ის 20 თუმანი, რომელიც გარდაწყვეტილი აქვს აძლიოს შესაწევრად მოსწავლეთ სწავლის განსაგრძლობლად, მისცა საერო ინჟინერთა ინსტიტუტის პირველ კურსის სტუდენტს ბ-ნს აგანჯანოვს.

◆ შაბათს, 19 ოკდომბერს, ვ. ნ. ჩერქეზიშვილის თავმჯდომარეობით მოხდა ქალაქის ხორცის დუქნების მეთვალყურე კომისიის წევრთა კრება, კრებამ განიხილა ექვსის დუქნის ხარჯთ-აღრიცხვა და მოიწონა; (დაწვრილებითი ხარჯთ-აღრიცხვის ანგარიში იხილეთ კვირის №-ში ახალ ამბავთა შორის) კრებამ 4,356 მ. რომელიც გადაჭრილი იყო გომურების მოსაწყობად, შეამცირა 3,486 მანეთამდე. სამაგიეროდ კომისიამ 920 მ. გადასდო ამ საქმის მოსამსახურე კაცთა ჯილდოს მოსამატებლად. შემდეგ ამისა კომისიამ განიხილა ქ-ნ ვარშამოვის ქაღალდი. იღონდ ჩემი სახლები დაიქირავეთ და ასს თუმანს ჯარიმას გადავიხდი, თუ ჩემს სახლებში, კახეთის მოედანზედ, კომისიისაგან დანიშნულ ვადაზედ ვერ მოვასწრობ ხორცის დუქნისათვის საჭირო სადგურის აგებასაო. კომისიამ ვარშამოვისას ამ თხოვნაზედ უარი უთხრა. კომისიამ ნება დართო ხორცის დუქნების გამგეს ბ. ადიხანოვს შეეძინა 666 სული სხვილფეხი საქონელი 20 ათას მან. კომისიამ მოისმინა ანგარიში ხორცის დუქნებისა 16 მარტიდგან 1 აგვისტომდე; ამ ანგარიშიდგან სჩანს: ხორცის დუქნებისთვის დაკლულა ამ ხანში 531 სული ხარი, 282 ძროხა და 260 ცხვარი, ღირებული სულ 29,369 მან. და 55 კაპ.; 16 მარტიდგან 1 აგვისტომდე ხორცის დუქნების ზარალი იყო 256 მან. და 47 კაპ.; 16 მარტიდგან 1 აგვისტომდე ამ დუქნებისთვის უყიდნიათ 46,203 მანეთის საკლავი საქონელი. კომისიამ დაადგინა, ეს ანგარიში გარდაეცეს შესამოწმებლად მცირე კომისიას, შემდეგ აღიბეჭდოს და წარედგინოს საბჭოსაო. კომისიამ განიხილა და დაამტკიცა ქალაქის ტეხნიკოსის ბ-ნ ოგანჯანოვის მიერ წარმოდგენილი ხარჯთ-აღრიცხვა ვერის მოედანზედ ხორცის დუქნის მოწყობისა; კომისიამ დაადგინა, ეთხოვოს ქალაქის აშენების კანცელარიას, რომ ეხლავე შეუდგნენ ამ შენობის ხორცის დუქნებისათვის შესაფერისად გადაკეთებას.

ჩვენებური ამბები

ფოთი. ქალაქის მოურავად ერთხმად აირჩიეს ბ-ნი ნ. ნიკოლაძე.

—

ქუთაისი. პურის ცხობის ამხანაგობის საზოგადოების საქმე ვერ წავიდა კარგად, მოთავედ ისეთი კაცები არიან, რომელთაც არა სცალიანთ ამხანაგობის საქმეს ემსახურონ, მაგრამ მაინც თავს არ ანებებენ თავის თანამდებობასაო (გაზ. „ბაქო“).

—

ბანძა (სენაკ. მაზრა). დღეს, 9 ოკდომბერს, ბანძის ორ-კლასიანს სასწავლებელს სასიხარულო დღე გაუთენდა. აქ მობრძანდა გურია სამეგრელოს სკოლების ეპარქიალური მეთვალყურე თეოდორე დავითის ძე ჟორდანია და მოიტანა გრაფოფონი. ბ-ნმა მეთვალყურემ პირველად აუხსნა ბავშვებს (200 სული) გრაფოფონის დანიშნულება და გააცნო მისი უმთავრესი ნაწილები. მერე დააკვრევინა აქვე, ბანძაში, გადაღებული სიმღერები. მოწაფენი სმენად გადაქცეულიყვნენ. სიმღერების გათავების შემდეგ ბავშვების აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა: ბავშვებმა მორთეს ერთი ჟივილხივილი. ბ-ნმა მეთვალყურემ სამს მოწაფეს ჩაამღერებინა და მათი ნათქვამი მკაფიოდ გამოვიდა.

დიდი მადლობის ღირსია თ. დ. ჟორდანია ამ გრაფოფონის მოტანისათვის-კი არამარტო, არამედ იმისათვისაც, რომ მას ძალიან უყვარს შეგირდები და მათთვის არ იშურებს არც ხარჯს და არც გარჯა-შრომას: გრაფოფონით ხელში გურია-სამეგრელოს ეპარხიის ყველა სკოლებს ათვალიერებს.

გიგიტაშვილი.

—

ბათუმი. 16 ოკდომბერს სლაბოდა ხოლოდნიაში, ბათუმის ახლო, მოხდა შემდეგი: ხუთი საათი იქნებოდა, როდესაც ღვინის სარდაფში სოლომონ შენგელიას მიუხტნენ. სარდაფი შარა გზაზედაა ბალის პირდაპირ. ავაზაკებმა შეამტვრიეს კარები და რევოლვერის სროლა დაიწყეს. შენგელიას ცოლმა ურჩია დამალულიყო. ამ დროს ნათესავი შენგელიასი გაბუნია გამოუვარდა ყაჩაღებს. ერთმა ყაჩაღთაგანმა ხანჯალი დაჰკრა მას თავში, ხოლო მეორემ—რევოლვერი დასცა შიგ გულში. შენგელიას ცოლმა სინათლეზედ მოჰკრა თვალი ყაჩაღებს და იცნო სვიმონ თავართქილაძე, მუსტაფა გვერდაძე ვლადიმირ კრავა და გიორგი ნანავა.

ოთხნივე დაჭერილები არიან დღეს ციხეში.

—

გუბი (ქვემო იმერეთი). გუბელებმა შეიგნეს სწავლა-განათლების მნიშვნელობა და სკოლას სკოლაზედ აარსებენ. ამ დროებით აქ არსებობს ერთ-კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი, რომლის ორ კლასიანად გადაკეთების თხოვნი უკვე გაგზავნილია, სადაც ჯერ არს. გუბელებმა არც ქალების სწავლა-განათლება დატოვეს უყურადღებოდ. წელს, იანვრის ბოლო რიცხვებში დაადგინეს განაჩენი ქალების სკოლის გახსნაზედ. მთავრობამ ეს განაჩენი დაამტკიცა და სკოლა უკვე გაიხსნა და სწავლა დაიწყო.

გუბში ბ. დავით წერეთლის მეთაურობით მშვენივრად შეაკეთეს გზები. ამ ზაფხულს ხონის სცენის მოყვარეების დახმარებით წარმოდგენა გავმართეთ, მაგრამ უამინდობისა გამო ხალხი ცოტა დაესწრო.

საქარის სანერგეში კურსს დამთავრებულთ, ს. ნიჟარაძეს და ა. ფარცვანიას განუზრახავთ

ფელეტონი

ქართული ლაპარაკი.

საკვირველია ჩვენის დედა ქალაქის საქმე. დაარსდება თუ არა ჩვენში კერძო საზოგადოება იმ კეთილის განზრახვით, რომ საკუთარის თაოსნობით და თვითმოქმედებით ჩვენი დაქვეითებული ცხოვრება ცოტათი მაინც წინ წაიწიოს, მაშინათვე, ანუ რამდენისამე ხნის შემდეგ, ასტყდება ისეთი განხეთქილება, რომ არამც თუ თვითმოქმედება, არამედ კეთილის განზრახვაც უპატიურდება და ამისათვის კეთილის საქმისათვის გული ყველას უცრუვდება.

რომელი საზოგადოებაც გინდა განიხილო, ყველგან ერთი და იგივე სატირელი ამბავია: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებაში, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა შეუძლებელ მოსწავლეთა დახმარებისაში, სტუდენტთა დამხმარებელ საზოვადოებასა და ამ ბოლოს დროს მასწავლებელ ქალთა დამხმარებელს საზოგადოებაში.

პირველში გამგეობა განაახლეს დიდის ალიაქოთით, რა არის მძინარე გამგეობის ალაგას ფხიზელი ხალხი დავსვათო, მაგრამ, სამწუხაროდ, სურვილი ცარიელ სურვილად დარჩა და დღევანდელი გამგეობა მხოლოდ უვიცი, ბრმა, ყრუ და ქადაგად დაცემულ ხალხით გამდიდრდა; რასაკვირველია, უვიცი, ბრმა და ყრუ მძინარე საზოგადოებას ვერასოდეს ვერ გამოაფხიზლებს და გამოფხიზლების მაგივრად იქნება უფრო ძილი მოერიოს.

მეორე საზოგადოების დღევანდელი მდგომარეობა უარეს ცეცხლში ჩავარდნილი.

როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, ეს საზოგადოება წარმოადგენს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის საყურადღებო განაყოფს, ანუ ძომმეს, ანუ ღვიძლს შვილს, რაც უნდა დაარქვით, ეს სულ ერთია. ამ კერძო საზოგადოებამ დიდი ხანია იკისრა უდიდესი და უმძიმესი საქმე ჩვენის გამწარებულ და დაქვეითებულ ცხოვრებისა—შემწეობის მიცემა ყველასათვის, ვისაც-კი სწავლა-განათლება ეჭირვება.

ვინც-კი დაახლოვებით იცის, რაოდენი სასარგებლო შრომა და ღვაწლი გაუწევია ამ განაყოფს, ის უეჭველად დაგვეთანხმება, რომ ნათესავების გაყრა ჩვენშიაც-კი, საცა გაყრილობა თითქმის დიდს უბედურებას წარმოადგენს ოჯახისათვის, ფრიად სანატრელი ყოფილა. სანატრელი იმიტომ, რომ განაყოფმა, კერძო საზოგადოებამ დიდი საქმე აღასრულა: დაარსა სათავად-აზნაურო სკოლა, რომელიც დღეს გიმნაზიას წარმოადგენს და საცა ექვსასზედ მეტი ყმაწვილი სწავლობს. ამ სკოლისათვის საზოგადოებამ შეიძინა კარგი და დიდი მამული ვერაზე და უშველებელის სახლის აშენებასაც შეუდგა; თავისის საკუთარის ვაი-ვაგლახით მოგროვილ თანხიდამ სკოლის გარეშეც ბევრსა ჰშველის, ზოგს სტიპენდიებით და ზოგს სხვაფრივ შემწეობით.

ეს ამბავი სხვაგან სადმე რომ მომხდარიყო, მაგალითებრ დიდებულს და თვით-მოქმედებით განთქმულს ინგლისში, არავის არ გაეკვირვებდა და ყველა იტყოდა, ეს ასეც უნდა იყოსო, რადგანაც ინგლისის საზოგადოების კეთილ დღეობა და მისი დაწინაურება სწორედ ამ თვით-მოქმედებაზეა დამყარებული; ჩამოაცალეთ ინგლისელებს ეს ყველგან განთქმული ძვირფასი თვისება და დარწმუნდებით, რომ დიდებულს სახელმწიფოს დიდებული სახელი, დიდებული სიმდიდრე და დიდებული განათლებაც ჩამოერთმევა, რადგანაც, ვიმეორებთ, ინგლისის მრავალ-გვარი დიდება ამ შესანიშნავს თვისებაზეა დამყარებული.

თითქმის ერთად ერთხელ გამოიჩინა ჩვენმა დაქვეითებულმა საზოგადოებამ ეს ჩინებული თვისება, ესე იგი თვით მოქმედება, და სიხარულის მაგივრად, საქმე სამწუხაროდ გაგვხდომია.

დიდი შეცდომა იქნება, რომ ვითომ და ქართველობის სასარგებლოდ, ქართული სკოლის საქმის წარმოება, თვით მისი ქონებრივი საკუთრება ჩამოერთვას საზოგადოებას და ამ გვარად გააუქმდეს საზოგადოების ის თვითმოქმედება, რომელშიც მან დიდი ხანია გამოიჩინა.

მაშ რა დაგვემართა, ვისი ბრალია, რომ დღეს ჩვენი თავად-აზნაურობის ერთი ნაწილი სცდილობს თავის უმცროს, მაღლა მფრინავს განაყოფს ფრთები შეაკვეცოს და მაგრა გადაუჭიროს აკვნის არტახები, რომელიც სიყრმიდამვე სულითა და გულით უნდა გვძულდეს.

არა ვისი, გარდა ჩვენის წარსულის მონებრივის ცხოვრებისა; ჩვენმა წარსულმა ისტორიულმა ცხოვრებამ ვერ შეგვაჩვია. ვერც დიდი და ვერც პატარა, თვით-მოქმედებას; მამა შვილისათვის პირველი იმედია, მაგრამ მამის იმედით მცხოვრებელი შვილი თითქმის ყოველთვის უმაქნისია ოჯახისა და სამშობლოსათვის. ვურჩევთ ჩვენს თავად-აზნაურობას, არასოდეს არ შეეხოს ზემოხსენებულის კერძო საზოგადოების თვით-მოქმედებას და მას ნაყოფს.

დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი თავად-აზნაურობა, რომელიც ყოველის ქართულის საქმის სიყვარულით დიდად განმსჭვალულია, კარგად ჩაუფიქრდება თავის სურვილის მძიმე საგანს და მანამ ერთხელ გადასჭრის, ცხრაჯერ გაჰზომავს.

საზოგადოდ თავად-აზნაურობას და კერძოდ ჩვენს ქართველ თავად-აზნაურობას კანონის ძალით დიდი უფლება აქვს მინიჭებული და, ვგონებთ, ვისაც დიდი უფლების გმოვნება აქვს გაღებული, ის არასოდეს სხვისა უფლებას არამც თუ არ შეეხება, არამედ ეცდება, ყოვლის ღონის-ძიებით, სხვისა უფლებაც დაიცვას.

მესამე საზოგადოებაში, რომელიც მხოლოდ დღეს დაიბადა, არავითარი კეთილი არა სჩანს, რადგანაც დაბადებიდამვე განხეთქილება დაჰყვა და...

მეოთხე საზოგადოებაში, რომლის დაფუძნებაშიაც ჩვენ, ქართველებს, თითქმის არავითარი წილი არ გვიძევს, დღეს ისეთი განხეთქილება ასტყდა, რომ ტფილისის რუსული გაზეთები ყოველ დღე ამაზე სწერენ.

ტფილისის მასწავლებელ ქალთა დამხმარებელი საზოგადოება ამ ჩვიდმეტის წლის წინად დაარსდა. ამ საზოგადოების კეთილ-დღეობაში თვითო ოროლა ქართველი ქალ მხოლოდ გარეგანს მონაწილეობას იღებდა, ისიც საზოგადოების თაოსნების თხოვნით და არა თავიანთ საკუთარის სურვილით და მეცადინეობით; ეს ქალები, მაგალითად თავ. ვ. ორბელიანისა, ა. მ. წერეთლისა, როგორც განთქმული ოჯახის შვილები ადგილობრივ საზოგადოებაში, ეხმარებოდნენ ამ საზოგადოებას ფულის შოვნაში და როცა საჭიროება მოითხოვდა, მფარველობას უწევდნენ წინაშე მთავრობისა.

საზოგადოების გულსა და სულს-კი მხოლოდ რუსის ქალები შეადგენდნენ, რადგანაც მათის საკუთარის მეცადინეობით იყო დაარსებული ეს ქალთა საზოგადოება. ქართველთა მასწავლებელთა ქალთა რიცხვი მაშინ ისეთი მცირე იყო, რომ ჩვენი ქართველობა ამ საზოგადოებას არავითარს ყურადღებას არ აქცევდა; როცა ცხოვრების მოთხოვნილებამ ჩვენს შორისაც ორიოდე მასწავლებელ ქალი აღმოაჩინა, მაშინ ქართველობამაც დაინახა ამ საზოგადოების მნიშვნელობა და ქართველი მასწავლებელი ქალები წევრად ჩაეწერნენ. ჩვენმა ქალებმა დაინახეს, რომ კურს დამთავრების შემდეგ შინ ჯდომა და დედმამის ანაბარად ცხოვრება, აღარა ხერხდება და, როგორც რუსის ქალებმა, გაკვეთილების შოვნას მიჰყვეს ხელი, რათა ეშოვნათ თავისის ცხოვრების საკუთარი წყარო და დასწოლოდნენ ტვირთად ისეც გაღატაკებულს მამის ოჯახს.

ამავე საზოგადოებაში ჩვენმა ქალებმა გაიცნეს თვითმოქმედების მნიშვნელობა დაი-

ვებში ნამყენი ამერიკული ვაზის სანერგე გააშენონ.

მიხა.

რუსეთი

უწმიდეს სინოდთან დაარსებული სასულიერო-სამოსწავლო კომიტეტი აპირობს დიდის რეფორმის შემოღებას უმაღლეს და საშუალო სასულიერო სასწავლებლებში. სამღვდელოებას სწავლა-აღზრდის საქმეში ისეთივე უფლება მიენიჭება, რა უფლებაც აქვთ მინიჭებული ბერებს. აკადემიებში საგნების უფრო სპეციალურად სწავლება იქნება შემოღებული. რექტორისა და ინსპექტორების გამოცვლა, პროფესორების ამორჩევა, პრივატ-დოცენტების მოწყობა-რიგობა, ყოველივე ეს ისე იქნება მოწყობილი, როგორც 1867 წელს გამოცემული წესდებით არსებობდა. ს. პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში დაარსდება ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, რომელიც მოამზადებს ფიზიკისა და მათემატიკის მასწავლებლებს სასულიერო სემინარიებისათვის. სემინარიებში გაუქმდება საბიბლიო ისტორიისა, მღვდელთათვის პრაქტიკულ სახელმძღვანელოს სწავლება; შემცირდება აგრეთვე ძველის ენების გაკვეთილები. ნაცვლად ამისა შემოიღებენ საქრისტიანო ნაშთების და საეკკლესიო უფლების შესწავლას; ერთის ახალის ენის სწავლება სავალდებულო შეიქნება, გაფართოვდება ფიზიკისა და მათემატიკის პროგრამა იმდენად, რამდენადაც გიმნაზიებში სწავლობენ ამ საგნებს, შემოიღებენ აგრეთვე რუსეთის სემინარიებში საერთო ფორმას.

— როგორც „კურიერი“ იტყობინება, მომავალ წელს დაიწყება კრება ფაბრიკის ინსპექტორებისა, რომელზედაც უნდა განხილულ იქმნას მცირე წლოვან ბავშვების შრომა სხვა-და-სხვა სამრეწველო დაწესებულებაში. აზრად აქვთ, განსაზღვრული სამუშაო დღე დააწესონ და მექარხნე-მეფაბრიკენი აიძულონ, რომ ფაბრიკებსა და ქარხნებთან დააარსონ წერა-კითხვის სწავლების სკოლები მუშათა ბავშვების აღსაზრდელად.

უცხოეთი

მაკედონია. მაკედონიის კომიტეტს შეუტყვია—პირინის და სერბინოვის მიდამოებში მცხოვრებნი ერთბაშად აჯანყდნენო. კაცებთან ერთად ბრძოლის ველად ქალებიც გამოსულან. ვისაც-კი იარაღის ტარება შეუძლიან, ყველა მედგრად ებრძვის მტერსა. მაკედონიის ახალგაზდა ქალებმა გასაოცარი ხასიათის სიმტკიცე და შეუპოვრობა გამოიჩინეს. ბევრი მათგანი უებრო მეთოფური გამოდგა. რომელთაც იარაღის ტარება არ შეუძლიანთ, იგინი მებრძოლთ საქმელს უმზადებენ და დაჭრილებს უვლიან. ბულგარიის საზღვრად მდებარე სოფლების მკვიდრთა ცოლ-შვილი ბულგარიაში გაჰგზავნეს, თითონ მეამბოხეთ შეუერთდნენ და მათთან ერთად ებრძვიან ოსმალებსა. არც ერთ მეამბოხეთა რაზმი არ დაცემულა სულით და არც რაიმე უკმაყოფილება განუცხადებიათ ჯერ-ჯერობით. ყველგან ძლიერნი არიან სულით და გამხნევებულნი დიადის იდეალით—სამშობლოს განთავისუფლებით. სოფ. სერბინოვის მცხოვრებმა გლეხებმა გასაკვირველი გმირობა გამოიჩინეს: მათ მოუხდათ ოსმალებთან ბრძოლა, რომელმაც ექვს დღეს გასტანა; ოსმალებმა ბრძოლის ველზე დასტოვეს რამდენიმე ასი კაცი მოკლული და კიდევ მეტი მძიმედ დაჭრილი.

— კოჩარინოვიდან დეპეშით ატყობინებენ სოფიაში 5 ოკდომბერს: „ამ ჟამად სოფლებ სელიშჩესა და ლოგოდაში გამწვავებული ბრძოლაა. თოფების გამუდმებული გრიალი საზღვრამდე აღწევსო.

საფრანგეთი. პალატამ ერთი მეტად საყურადღებო დადგენილება მოახდინა: გადასწყვიტა, პირდაპირ ხმის უმეტესობით იქმნას არჩეული ის კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს კანონ-პროექტი კონგრეგაციათა შესახებ.

აქამდე კომისიის წევრებს კერძო ბიუროები ირჩევდა კენჭის ყრით; ამის გამო ხშირად სრულიად შემთხვევით ისეთი კაცები მოჰყვებოდნენ ხოლმე კამისიაში, რომელნიც ბევრში არ ეთანხმებოდნენ პარლამენტსა, რის გამოც საქმეები მეტად ჭიანურდებოდა. არა ერთხელ მომხდარა, რომ პარლამენტის მიერ მოწონებული კანონ-პროექტი კამისიას არ მოუწონებია და თავისებურად გადაუკეთებია. რასაკვირველია, ეს გარემოება ზოგჯერ დაუსრულებელ კამათს იწვევდა პალატაში. ეხლა-კი კამისიასა და პალატას შორის სრული თანხმობა დამყარდება.

ავსტრია-უნგრეთი. უნგრეთის ოპოზიცია აღტაცებაშია. მას დემონსტრაციის მოხდენაც-კი არ დასჭირდა, ისე მალე მოლბა მთავრობა და დასთმო თვისი ბროექტი მხედრობის გაძლიერების შესახებ. ფეიერვარის უარი,—საჭიროც აღარაა მსჯელობა ვიქონიოთ იმის შესახებ, რომ 20,000 სათადარიგო ჯარისკაცი ნამდვილ სამსახურში ჩაითვალოსო, სწორედ მოულოდნელი იყო საიმპერიო მთავრობისათვისაც და მადიართა ოპოზიციისათვისაც. როგორც ლაპარაკობენ, სრულიად შეიცვლება ცენტრალური სამხედრო მმართველობაო; მცოდნე კაცები ამბობენ, დელეგაციების მიერ წარმოდგენილი პროექტი სათადარიგო ჯარების გაძლიერებისა ჯერ-ჯერობით არ იქნება განხორციელებულიო. ამას წინად დამზადებული ზარბაზნები უვარგისნი გამომდგარო. უნგრეთის მთავრობის საქციელი მეტად სწყინს საიმპერიო მთავრობასა და, ჰგონებენ, რომ მინისტრ-პრეზიდენტ სელლის მდგომარეობა ძალიან შერყეულიაო.

— ავსტრიის რეიხსრატში ოკდომბრის 10-ს მსჯელობა ჰქონდათ კლოფაჩის წინადადების შესახებ—პრაგაში დიდ გაჭირვებაში არიან მუშები, რადგან სამუშაო არა აქვთო. შემდეგ უნდა განიხილონ გალიციის მეურნე მუშათა გაფიცვის საქმე. როდესაც ყოველსავე ამას მორჩებიან, რეიხსრატი შეუდგება კერბერის იმ სიტყვის განხილვას, რომელიც პირველ კრებაზე წარმოსთქვა.

თეატრი და ხელოვნება

სახალხო თეატრი. შაბათს, 19 ოკდომბერს, ავჭალის ქუჩის სახალხო თეატრში სცენის მოყვარულებმა წარმოადგინეს „დაქცეული ოჯახი“ კომედ. სამ მოქმედებად გ. სუნდუკიანცისა. წარმოდგენამ თავით ბოლომდე მშვენივრად ჩაიარა, რაც აიხსნება ყველაზე მეტად იმით, რომ სცენის მოყვარეებს თავ-თავიანთი როლები კარგა დაესწავლათ და შეეგნოთ.. ამ დღეს სცენის მოყვარეთა გარდა, წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ ქ. გაბუნია-ცაგარლისა და ბბ. გამრეკელიძე და სარჯველაძე. სამთავემ თავიანთი როლები: პირველმა სალომესი, მეორემ ფარსიდასი და მესამემ ალექსანდრე მარმაროვისა—კარგა ჩაატარეს, თუმცა სარჯველაძე ზოგ ადგილას სიტყვებს ძალიან ტკეპნით ამბობდა და შთაბეჭდილებას აუგემურებდა. ხახოს როლის ამსრულებელი ქ-ნი ლომთურისა ტიპიური ხახო იყო. განსაკუთრებითი ყურადღება ამ სადამოს თავის დაკვირვებულის და მოხდენილის თამაშით მიიქცია ნატოს როლის ამსრულებელმა მარომ. ეს ახალგაზდა (16—17 წლისა) სცენაზე პირველად გამოვიდა, მაგრამ არაფერი ისეთი, რაც საზოგადოდ ყველა ახლად-გამოსულ სცენის მოყვარეთ სჩვევიათ, არ შეგვიმჩნევია. მას მუდამ კარგა ეჭირა თავი სცენაზე და ყოველს სიტყვას მგვაფიოდ და შესაფერის გრძნობით ამბობდა. სიამოვნებით უნდა აღვიაროთ, რომ ამისთანა სცენის მოყვარის შეძენა სწორედ პოვნაა...

დანარჩენი მოთამაშენიც თავიანთ ადგილას იყვნენ: ბ-მა ი. იმედაშვილმა ჩვეულებრივ კარგად ჩაატარა იოსეფას როლი, თუმცა ეს როლი ნიკო გოცირიძის ნიჭსა და უნარს შეეფერებოდა, ნიკო გოცირიძე ამ სადამოს გიჟ-მოსეს როლს თამაშობდა და, თუმცა ეს როლი არ შეეფერებოდა, ამ სცენის მოყვარულმა მაინც ვრცელი ტიპი დაუხატა მაყურებლებს. კარგი იყო აგრეთვე მიხოს—დუქნის ბიჭის როლის მოთამაშე ი. რომანიშვილი, რომელმაც ბევრი აცინა საზოგადოება. დარჩუს როლს ამ სადამოს ასრულებდა ახალი სცენის მოყვარული ბაკურაძე, რომელიც სიტყვებს დაბლა და გაურკვევლად ამბობდა. რის გამოც ბევრი მისი სიტყვა პირველ რიგებშიც არ ისმოდა.. ეს სცენის მოყვარული ახლად გამოვიდა ამ დღეს და, იმედია, შემდეგში ამ ნაკლულევანებას თავიდამ მოიშორებს.

თეატრი ხალხით სავსე იყო. წარმოდგენას თვით ავტორი ბ-ნი სუნდუკიანცი დაესწრო.

21 ოკდომბერს ამავე სცენის მოყვარულებმა გაიმეორეს ეს წარმოდგენა რკინის გზის სახელოსნოების თეატრში, სადაც აგრეთვე ბლომად დაესწრო ხალხი. ამ წარმოდგენამ უფრო კარგად ჩაიარა, სანამ ავჭალის თეატრში. ყოველი სცენის მოყვარული უფრო შეგნებითა თამაშობდა. მეტადრე ახალგაზდა მარო...

ამ სეზონში სახალხო წარმოდგენების სექციამ რეჟისორად ბ-ნი გამრეკელიძე მიიწვია, რომელიც, იმედია, სვინდისიერად შეასრულებს ამ მძიმე მოვალეობას.

ა.—ნა.

ამაშუკეთი (შორაპნის მაზრა). წარსულს აგვისტოს 30 რიცხვს, ქართულის სცენის მოყვარეთაგან ზ. წერეთლის და დიმიტრი ამაშუკლის თაოსნობით წარმოადგინეს „არსენა“. მონაწილეობას იღებდნენ აგრაფინა ამაშუკლისა, ნინა ამაშუკლისა, ზ. წერეთელი და სხ. წარმოდგენას ხალხი საკმაოდ დაესწრო, ყველანი დიდად ნასიამოვნები და კმაყოფილნი დარჩნენ. წარმოდგენა იყო გამართული ამაშუკეთის უფასო სახალხო სამკითხველო-ბიბლიოთეკის სასარგებლოდ.

მოთამაშეებმა თავიანთი როლები კარგად შეასრულეს.

ა. რამინიშვილი.

ნარკვევი

გამოვიდა ახალი გაზეთი „ბაქო“ და გამოვიდა მასთან ახალი მეთაური, საპროგრამო წერილი. ყოველთვის თვითეული გაზეთი პირველ ნომერში გამოაცხადებს, რომ მისი დანიშნულება საზოგადოების სამსახურია, რომ გაზეთი დაიცავს საზოგადოების ინტერესებსაო; „ბაქოს“ აზრით დანიშნულებაც

„არის საზოგადოების სამსახური, დაცვა მისის ინტერესებისა. საერო განათლების საქმე, საზოგადოებრივი თვით მოქმედების გაძლიერება ვაჭრობა-მრეწველობის წარმატება,—აი, რა იქნება ჩვენი უმთავრესი მოვალეობაო. ჩვენ ღრმად გვწამს და ვაფასებთ პატიოსანის და თავისუფალის სიტყვის ძლიერებას, ჩვენ ვიშრომებთ ჩვენის კუთხის საკეთილდღეოდ. საზოგადოების უკეთესის მომავლის მოახლოება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა თავისუფლად მიმდინარეობს საზოგადოებრივ ძალთა განვითარება; ამისთვის ჩვენც ვეცდებით განვახორციელოთ ცხოვრებაში ის აზრები და შეხედულებანი, რომელიც გვიანდერძეს კაცობრიობის უკეთესმა და უკეთილშობილესმა წარმომადგენლებმა“.

„გაბედულად და აშკარად ვაცხადებთო,—განაგრძობს გაზეთი—რომ ჩვენ არავითარი საქმე არა გვაქვს იმ ნაციონალიზმთან, რომლის დანერგვას სცდილობდა ჩვენში ბ-ნი ველიჩკო. ჩვენ მტერი ვართ კავკასიის ამა თუ იმ ეროვნების ვიწრო-ნაციონალურ ინტერესებისა. რუსი, ქართველი, სომეხი. მუსულმანი ჩვენს თვალში წევრია ერთის საზოგადოებისა. თითოეულს ჩვენგანს ერთი საერთო მტერი ჰყავს, რომელსაც თითოეული მოქალაქე ვალდებულია ებრძოლოს. ეს მტერი მეტად ძლიერია, ცალკ-ცალკე მასთან ბრძოლით ვერას გავაწყობთ. ის მტერი სულს უხუთავს თავისუფალ ცხოვრებას, სთესავს შურსა და მტრობას, ანადგურებს ადამიანის ბედნიერებას, მისთვის არ არსებობს ნაციონალური განკერძოებანი. ის ყველას აღრჩობს და ყოველსავე მიწასთან ასწორებს“...

დასასრულ გაზეთი დასძენს: ველური ნაციონალიზმი აბრმავებს ჭკუას, ამხეცებს გულს და ხელს გვიშლის ჩვენი ცხოვრების ძირითად საკითხების გამორკვევაში“.

სიტყვები მშვენიერია, სურვილი უკეთესი არ შეიძლება. ველურს ნაციონალიზმს ველურის მეტი არავინ თანაუგრძნობს. ამიტომ დაგვრჩენია, მხოლოდ ვუსურვოთ გაზეთს ამ სიტყვებისთვის არ ედალატნოს და მტკიცედ მდგარ იყოს თავის პროგრამაზე.

ბიბლიოგრაფია

რედაქციამ მიიღო ახალი სომხური წიგნი „სასოფლო-სამეურნეო ბიბლიოთეკა“ № 1, რომელიც შეიცავს ბ-ნ გ. კ. მელიქ-შაჰნაზარიანცის თხზულებას „ვაზის გაშენებისათვის“ და გამოცემულია ცნობილის სომხის მემამულის მიქელ იოსების ძის არამანცის ხარჯით. წიგნშია 206 გვ. მოზრდილის ფორმატისა და განიყოფის სამ ნაწილად. პირველშია საისტორიო მიმოხილვა იმისა, თუ ვაზი როდის შემოუღიათ ჰაისტანსა, თუ კავკასიაში, ევროპას, აზიას, აფრიკას, ავსტრალიას და ამერიკაში. მეორეში განმარტებულია საკუთრად ვაზის მოვლა და მესამეშია აწერილი სხვა-და-სხვა სნეულება, რომელიც ვაზს სჭირს ხოლმე. წიგნი სუფთად და კარგის ქაღალდით არის გამოცემული და საჭირო ხატებიც, რომლითაც შემკულია თხზულება, საკმაოდ კარგად არის გამოსული, ღირს მანეთად.

სომხურის მწიგნობრობისათვის, რომელსაც ასეთი წიგნები ნაკლებად მოეპოვება, დიდი შესაძენია ბ-ნ მელიქ-შაჰნაზარიანცის თხზულება და კიდევ უფრო სასარგებლოა, რომ სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გასავრცელებლად ხარჯის გაწევა უკისრნია მდიდარ მემამულეს ბ. არამიანცს, რომელმაც ამას წინად ბორჩალოში თ. სიმონ წერეთლის მამული იყიდა და თავის მოძმე ,ერევნელ გლეხებს დაურიგა გასაშენებლად.

ერთი რამ არის შესანიშნავი ბ-ნ მელიქ-შაჰნაზარიანცის თხზულებაში. დაწვრილებით არის ნაჩვენები, რომელ ქვეყანაში როდის შემოიღეს ვაზის გაშენება და მისი კი, თუ თვითონ სომხებმა როდის გაიცნეს ვაზი, სრულიად არაფერია ნათქვამი. ავტორის არ იყოს, თუ გსთქვით, ის ნოე, რომელსაც პირველად დაუწნეხია ყურძენი, სომეხი იყო, და ის ადგილი არარატ-მასისისა, რომლის ვაკეზე პირველი ზვარი გაშენებულა, სასომხეთი იყო, იმას ხომ სამეცნიერო საფუძველი არ ექნება, რადგანაც სადმრთო წერილშიაც ნოეს ამბავი ებრაელთა ისტორიის წინა დროებს შეეხება და წმინდა ზღაპარია. თვითონ აწინდელი სომხები კი, როგორც მეცნიერება გვაუწყებს, ქრისტეს წინეთ VII საუკუნეში მოსულან არმენიაში, რომელიც იყო არა სომეხთა სამშობლო, არამედ ქალდის ურისა საიდგანაც აბრაამ გაიხიზნა აღთქმის ქვეყნისაკენ და თვითონ ქალდეველთაც გააშენეს ეფრატისა და ტიგრის შუა ქვეყნები და დაუდვეს საფუძველი ქალდეველ ქურუმთა კასტას ბაბილონში. მაშასადამე სომხებს ვაზის მოვლა ან უნდა სცოდნოდათ არმენიაში მოსვლამდე, ან უნდა ესწავლათ **ურის** ქვეყანაში, ე. ი. ურისტანში ეს კი ჩვენს ავტორს გამორკვეული არა აქვს და საისტორიო ნაწილი, თუ მკითხავთ, სრულიად საჭირო არ იყო. ხოლო ავტორს თუ დასჭირდა, მაშინ მას აღარ ჰმართებდა ზღაპრის აყოლა.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

19 ოკდომბერი.

დრეზდენი. დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე დრეზდენს ჩამოვიდა.

ლისაბონი. როგორც იტყობინებიან, ჩემბერლენს მოუსურვებია ლორენცო მარკეზეს წასვლა, თუ დარწმუნებული იქნება, რომ მას კარგად მიიღებენ პორტუგალიის ტერიტორიაზე.

პეტერბურგი. 19 ოკდომბერს გამოვიდა პირველი ნომერი ჟურნალ „ნაბორჩიკ“-ისა, ა. ა. ფილიპოვის რედაქტორობით.

20 ოკდომბერი

პეტერბურგი. უმაღლესი ბრძანება: „გვარდიის კორპუსის უფროსი, გვარდიის კავალერიაში ჩარიცხული, გენერალ ადიუტანტი, გენერალ-ლეიტენანტი, მისი იმპერატორებითი უდიდებულესობა დიდ მთავარი პავლე ალექსანდრეს ძე სამსახურიდან გამოირიცხება“.

ლონდონი. დევეტი სამხრეთ აფრიკას ჰბრუნდება.

ბელგრადი. 19 ოკდომბერს სულთანმა მიიღო სერბიის ელჩი, რომელსაც სთხოვა, გარდაეცით მეფეს ჩემი გულითადი მეგობრობის გრძნობანიო.

იალტა. 19 ოკდომაერს ოსმალეთის ელჩები უმაღლეს საუზმეზე იქმნენ მიწვეულნი. 12 საათს ელჩები საკუთარის მემუსიკეთა დასით ლივადიას წავიდნენ. სასადილო ოთახის წინ დერეფანში, ხელმწიფე იმპერატორის გამოსვლის დროს, მემუსიკეთ ჰიმნი დაუკრეს და შემდეგ საუზმის დროსაც უკრავდნენ. საღამოს დიდმა მთავარმა პეტრე ნიკოლოზის ძემ ელჩებს სადილი გაუმართა. წინა დღით საიმპერატორო გემ. „შტანდარტ“-ზე სადილი გაუმართეს ოსმალთა იმ ოფიცრებს, რომელთაც ელჩები მოიყვანეს გემით.

პეკინი. კორეიამ აქ თავისი მისსია დააარსა.

სოფია. რუშჩუკს მოგზაურობის დროს რუმინიის მეფეს გაჰყვებიან მინისტრები სტურძა და ბრატიანუ.

პორტ-ო-პრენსი. სან-მარკისა, ჰონაივასა და პორტ დ'ეპეს ნავთ-სადგურებს სამხედრო სალუტე აჰხადეს.

კონსტანტინეპოლი. სერბიის ელჩმა მოაგონა სულთაის წინანდელი მოხსენება სტარო-სერბიაში ალბანელთა მიერ ძალადობის ხმარებისა. სულთანმა გამოცხადა, ნაბრძანები მაქვს, იქაურ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საშუალება იხმარონო.

სოფია. გაზ. „ვეჩერნიაია პოჩტა“-მ დაჰბეჭდა ნამდვილი ხელთ-ნაწერი მინისტრის ლიუდსკანოვისაგან 1892 წელს ტიუფეკჩიევისათვის მიწერილ წერილისა, სადაც, ვითომ გადაკვრით, სტამბულოვის მოკვლას შეეხება.

— რუმინიის მეფე 29 ოკდომბერს მივა რუშჩუკს. მერე პლევნასაც წავა.

პრეტორია. მთავრობა დასთანხმდა, თავისუფალი ჯარი შეადგინოს ტრანსვაალში.

— კომისია დაინიშნა, რომელმაც სამხრეთ-აფრიკის ომისაგან დაზარალებულთ ფული უნდა დაურიგოს.

21 ოკდომბერი

რიაზანი. ეგორიევის საერობო კრებამ დაადგინა გლეხთა განთავისუფლებიდგან ორმოცის წლის შესრულების აღსანიშნავად ააგოს სკოლა და ყველა სკოლებში დაჰკიდოს სურათი იმპერატორ ალექსანდრე მეორისა.

მოსკოვი. ქალაქის მმართველობამ გადასწყვიტა საავადმყოფოთა უფროს ექიმებისაგან შეადგინოს კომისია, საქმეებისათვის ყოველ კვირა მოსალაპარაკებლად.

ბრესტი. პატრიოტულის გრძნობით კერფანტრის სასაფლაოდან გაემართნენ მამულისათვის დახოცილ მხედართა სამარისაკენ. მიმავალთა შორის იყვნენ ოფიცრებიცა და რუსეთის კრეისერ „ჰერცოგ ედინბურგსკი“-ს მეზღვაურნი, რომელთაც გვირგვინი მიჰქონდათ. ლეიტენანტმა პოპოვმა სიტყვა წარმოსთქვა, რამაც ტაშის ცემა გამოიწვია.

ადენი. რადგანაც იტალიამ საკმაოდ არა სცნო ის პირობანი, რომელსაც ოსმალეთი ზღვის ავაზაკთა თავ-დასხმისაგან უზრუნველ საყოფლად იძლევა, ამიტომ იტალიის ესკადრამ სროლა დაუწყო მიდის.

რომი. დამამტკიცებელი საბუთი არ არის იმისა, ვითომც მიდის ზარბაზნებს ესვრიანო.

ვენა. საბერძნეთის მეფე წავიდა.

ბელგრადი. გაზეთ „სტამპა„-მ დაბეჭდა ცნობა, რომ პიროტის საოლქო ხაზინაში 150,000 ფრანკი აღმოჩნდა გაფლანგულიო.

სოფია. „რეფორმა“ იუწყება, რომ კიუსტენდილში კრატოვიდგან შიკრიკი მოვიდა და გამოაცხადა დრაგობაშტელებთან შეტაკების ამბავი. მოკლულია და დაჭრილია 200. ვისაც ბრძოლა შეეძლო, მთებში გაიხიზნენ, დანარჩენები დახოცილია. მალეშევის ოლქში აჯანყება ვრცელდება.

ნახეს, რომ მასწავლებელ ქალთა შეერთებას დიდი ძალა ჰქონია; გაჭირვებული ქალი ყოველთვის ჰპოვებდა ამ საზოგადოებაში ცოტას თუ ბევრს დაკმაყოფილებას; არამც თუ მარტო შიმშილსა და წყურვილს იკლავდა, არამედ ზნეობრივის მხრითაც ბევრჯელ შველა ეძლეოდა. ზოგჯერ უმანკო ქალის მოტყუებულს და გაცრუებულს იმედს არსად შვება არა ჰქონდა და აქ-კი, განსაკუთრებულ ქალთა საზოგადოებაში, სადაც მოტყუებულს ქალს შეეძლო თვისი საიდუმლო დარდი და ვარამი ეღვიარა, გულს ადვილად იქარვებდა და მტკვარში გადავარდნის მაგივრად სულით მშვიდდებოდა. ამისთანა გაქარვება დარდისა და დამშვიდება სულისა მხოლოდ განსაკუთრებულს ქალთა საზოგადოებას შეუძლია და არა იმ ფართო საზოგადოებას, რომელიც მხოლოდ ლუკმა-პურს აწვდის გაჭირვებულს ქალს და მისის ზნეობრივის სევდის მალამო-კი არ მოეპოვება.

თუმცა ეს ასე იყო, მაგრამ ამ უკანასკნელს დროს ჩვენს ქალთა საზოგადოებას რაღაცა სიომ დაჰკრა და ამ სიომ საშინელი განხეთქილება დაბადა მასწავლებელ ქალთა საზოგადოებაში. ახალ მოსულს წევრებს, რომელთაც ჩვენის ადგილობრივის ცხოვრებისა არაფერი გაეგებათ, განუზრახავთ მასწავლებელ კაცთა ნამდვილ წევრებად ჩაწერა და ამ გვარად ნაცვლად ქალთა საზოგადოებისა მასწავლებელ ქალთა და კაცთა საზოგადოების დაარსება.

ამ განზრახვის თაოსნობა თვით ქალებსავე უტვირთნიათ და ამით თითქოს უნდათ დაგვიმტკიცონ, რომ უმამაკაცოთ ქალები თავიანთ საკუთარს საქმესაც ხეირიანად ვერ წაიყვანენო.

რა მიზეზია ამ უცნაურის სურვილისა? ქალებსა და კაცებს რომ ერთმანერთი ძალიან უყვართ, ეს ადამის ჟამიდამ დაწყებული, ყველასათვის ცხადია. მაგრამ ისიც ყველამ კარგად ვიცით, რომ ქალები მამა-კაცებს არ გვემადლიერებიან.

არ გვემადლიერებიან იმიტომ, რომ, ჩვენ, მამა-კაცებს, ჭირში, თუ ლხინში, ყოველს საზოგადო და სახელმწიფო საქმეში, ყოველს შინაურსა და გარეშე საქმეებში უპირველესი ადგილი გვიჭირავს და ქალებს-კი არავითარი ხმა არა აქვთ არც ავსა და არც კარგში. ერთის სიტყვით, ჩვენა გვბრალდება ნამდვილი ბატონ-ყმობა, სადაც ვაჟები ბატონობენ და ქალები ყმობას ეწევიან.

ამ, ვითომ და ჩვენს უმადურობაზედ დამყარდა ის ქალთა მოძრაობა, რომელმაც უნდა დაიხსნას ქალი მამა-კაცის ბატონყმობისაგან. კეთილი და პატიოსანი. ვინ იქნება ისეთი უგუნური და უსინიდისო, რომ ბატონყმობას წაექომაგოს. პირიქით, ყველა განვითარებული მამულისა და ოჯახისშვილი იმასა სცდილობს, რომ ბატონ-ყმობის ხსენება არსად აღარ იყოს, მაგრამ გასაოცარი ის არის, რათ მოინდომა ტფილისის მასწავლებელ ქალთა საზოვადოებამ მამაკაცებთან შეერთება? რათ მონდომებია ერთის ხელით დაქცევა იმისი, რაც მეორე ხელით აუშენებია? ამ გვარ განცვიფრებას აცხადებს ყველა გარეშე მაყურებელი და ვერავის ვერ გაუგია ნამდვილი მიზეზი ახალ მოსულ წევრთა სურვილისა.

ეს უცნაური სურვილი თითქმის განსაკუთრებით ჩვენს ქართველობას შეეხება იმიტომ, რომ ტფილისის გუბერნიის მაზრებში უმეტესი ნაწილი მასწავლებლებისა ქართველები არიან. მაშასადამე, თუ ეს სურვილი ოდესმე განხორციელდა, ჩვენის სოფლის მასწავლებლებიც ქალთა საზოგადოების წევრებად ჩაიწერებიან. გამოდის, რომ ქალთა საზოგადოება მამაკაცებს იწვევს, მათ დაუკითხავად; იწვევს-კი მაგრამ ამასთან აცხადებს, რომ რადგანაც თქვენ ჯერ არაფერი გაქვთ, ამისათვის დღევანდლამდის ჩვენგან შეძენილს თანხასთან და უძრავს მამულთან ხელი არა გაქვსთო და, თუმცა ნამდვილ წევრებად ჩაგწერთო, მაგრამ ნამდვილ წევრის უფლება-კი არ გექნებათო.

სწორედ მოგახსენოთ ამ გვარი სურვილი მხოლოდ მტრობისაგან დაიბადება და არა მეგობრობისაგან; ცხადია, ქალებსა ჰსურთ მამაკაცები თავის საზოგადოებაში შეიტყუონ, სადაც ქალები ბატონები იქნებიან და მამაკაცები ყმები.

თუ ვინიცობაა, მომავალს კრებაზედ ქალთა საზოგადოების სურვილმა გაიმარჯვა, ჩვენ მაინც იმედი გვაქვს, რომ ჩვენის სოფლის მასწავლებლები წინდაუხედავად არ მოიქცევიან და მხოლოდ იმ პირობით ჩაეწერებიან წევრად, რომ მიენიჭოსთ იგივე უფლება, რაც დღევანდელის წესდების ძალით ყოველს ნამდვილს წევრსა აქვს.

თუ არა, დაუწმუნებული ვართ, ჩვენი მამაკაცები მახეში გაჰყოფენ თავსა და ქალთა საზოგადოების ყმებად გახდებიან, რაიცა დიდად სათაკილო იქნება ჩვენთვის.

ნინია გარეჯელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

22 ოკდომბერი.

კონსტანტინეპოლი. საელჩოს ცნობები ადასტურებენ ოსმალეთის განცხადებას, რომ სარეის სანჯაკი განთავისუფლებულია ყაჩაღთა ბრბოსაგან, მაგრამ მოსალოდნელია, რომ ისევ დაიწყებენ იგინი ბოროტ-მოქმედებასო. ოსმალეთის ცნობებით. აჯანყებულთა მხრით 72 მოკლულია და 38 დატყვევებული, ოსმალების მხრით—17 მოკლულია და 33 დაჭრილი, ოსმალები ისევ დაეძებენ საომარ იარაღებს ბულგარიის სოფლებში. საზღვრების დაცვა გაძლიერებულია. ზოგიერთ დიდრონ სოფლებში ჟანდარმთა რაზმია ჩამდგარი, რომ მცხოვრებლები არ შეუერთდნენ აჯანყებულთა გუნდს.

ბელგრადი. სერბიის მართლ-მადიდებელ სასულიერო წოდების დეპუტაციამ საჩივარი მიართვა საბერძნეთის პატრიარქს იოაკიმეს, რომ ადგილობრივი მთავრობისგან სერბიის ეკკლესიის საქმეები ძლიერ შევიწროებულიაო.

ბერლინი. გერმანიის ელჩი ვენაში ხილენბურგი მძიმე ავადაა. მის ადგილს დაიჭერს კვირინალეში ვედელი.

ლონდონი. ჩემბერლენი ერთ კვირაში ტრანსვაალს წავა. იმედი აქვთ, რომ ყველა პოლიტიკურ პარტიებთან მოლაპარაკება დიდს სარგებლობას მოიტანსო.

პეტერბურგის ბირჟა, 15 ოკდომბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,80
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	37,37½
ლონდონში ჩეკები	94,65
ბერლინში ,,	46,25
პარიჟში ,,	—
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97 გაყიდ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99¼ მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	94½
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	474 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	356½ წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	288 გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	82¼ მყიდ.
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	89⅜ გაყ.
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	9,400 გაყ.
აქციები ,, ,, ,, ,,	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	365 წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ.	190 წვ. გაყ.
ნავთის სამრეწვ. საზოგად.	—

ყოველ-დღიური საჭირო ცნობანი

რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლის

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბ ა ქ ო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით)	3 ს. 43 წ. დღ.	11 ს. 49 წ. დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „ „	8 ს. 37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. საღ.
ბ ა თ უ მ ი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე)	10 ს. 2 წ. დილ.	7 ს. 43 წ. დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. საღ.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. საღ.	9 ს. 27 წ. დილ.
ყარსი და ალექსან.		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე)	7 ს. 18 წ. დილ.	9 ს. 28 წ. საღ.
სამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან)	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბ ო რ ჯ ო მ ი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე)	9 ს. 57 წ. დილ.	6 ს. 22 წ. დილ
სამგზავრო „ „	6 ს. 53 წ. საღ.	2 ს. 28 წ. დღ.

სასამართლოს შესახები ცნობანი.

ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ დეპარტამენტში დანიშნულია შემდეგ სამოქალაქო საქმეთა განხილვა:

26 ოკდომბრისათვის

7. ნატალია დავითის ასულის კონტრიძისა და თევდორე ხუნდაძის დავა.
8. თ—დ ივანე მაჩაბლის, ბათაშვილის, თიგიშვილისა და თიბილაშვილის საქმე.
9. სოფრომ ვარაზაშვილისა და ერმინე ომანიძის დავა.
10. აკიფ-ეფენდი დერვიშ-ალა-ზადეს ობლების და ვასილ სიხარულიძის ობლების დავა.

განცხადება

ქველ-მოქმედთა საყურადღებოდ.

შეუძლებელი ქართველი კაცი, რომელსაც დარჩა ობლად მცირე-წლოვანი ვაჟიშვილი, 2 წლისა და ორის თვისა, მიჰმართავს ქველ-მოქმედთა და სთხოვს, აიყვანოს ვინმე ეს ბავშვი აღსაზრდელად თავის სულის გულისათვის და, თუ ინებებს, იშვილოს კიდეც.

მისი ადრესი: მე-8 უბანი, არსენალის ქუჩა, № 21, სახლი ცაპენისა. იკითხეთ ალექსი მინასოვი.

(3—1)

Денисовскiй

მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი

„ოდონტინი“ მ. ვ. ლებედევისა.

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

(33—6.—28)

ამა ოკტომბრის 27, კვირას, ქ. ოზურგეთში, **გურიის ამხანაგობა „შუამავლის“** კანტორაში დანიშნულია ამ ამხანაგობის წევრთა არა ჩვეულებრივი საზოგადო კრება. განსახილველი კითხვებია: 1) გამგეობის მოხსენება წლევანდელი წარმოების შესახებ. 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება ამავე საგნის შესახებ 3) საშუალების მოძებნა დარჩენილი ვალების გადასახდელათ.

შენიშვნა: ა) უკეთუ საშუალება ვერ აღმოაჩინა კრებამ, იმ შემთხვევაში ამხანაგობის გამგე—იოსებ ლაზარეს ძე ქუთათელაძე თხოულობს გამგის თანამდებობისაგან განთავისუფლებას. ამისათვის საჭიროა, ყოველ შემთხვევისათვის, წევრებმა წინდაწინვე მონახონ და იყოლიონ მის მაგიერ დასაყენებელი კაცი. 4) მოლაპარაკება და გეგმის შედგენა მომავალი წლის წარმოების დასაწყებათ. 5) და განხილვა ყველა იმ კითხვებისა, რომლებიც წამოყენებული იქნება წევრთაგან თვით კრებაზე.

მმართველი **იოსებ ლ. ქუთათელაძე**

(2—6.—2).

ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

(წ.)

ახალი გამოცემა.

სტამბიდგან გამოვიდა მეორე გამოცემა, ბევრად შევსებული, იაკობ გოგებაშვილის რუსულად დაწერილი წიგნისა:

„Правда о Тифлисѣ“.

ფასი ყველგან ერთი აბაზია. საწყობი წერა-კითხვის მაღაზიაშია. ისყიდება სხვა წიგნის მაღაზიებშიაც ტფილისში, აგრეთვე ქუთაისში და სხვაგანაც. (6—4)

1-ლ ენკენისთვიდგან ქ. ოზურგეთში გაიხსნა ოთხ-კლასიანი

ქალების სასწავლებელი

პროგიმნაზიის კურსით. თხოვნები მიიღება მთელის წლის განმავლობაში გიგო გოგიტიძის სახლში.

(10—6.—10)

ბორჩალოელ ქართველთა გულის-შემატკივართა მიმართ.

ახალშენ ეკატერინენფელდში (ბორჩალოს მაზრა), სადაც ნემცებთან ერთად მრავალი ქართველობა სცხოვრებს, გადმოსახლებული სოფლად სამშობლოს გაჭირვებისა გამო და მკვებავი გატანჯულის ცოლ-შვილისა დღიურის მუშაობით, არ არსებობს ეკკლესია ღვთისა, რომელშიაც ნივთიერად დამარცხებულ ერს შეეძლოს აღორძინდეს სულიერად მაინც და დააკმაყოფილოს თავისი რელიგიური გრძნობა-მოთხოვნილება.

უეკკლესიობის გამო ქართველი გლეხი ხალხი და მასთან ყველა ისინიც, რომლებიც მსახურობენ აქ სხვა-და-სხვა მმართველობაში, დაიარებიან ნემეცთა ეკკლესიაში, სადაც თვით მოზრდილები და მეტადრე, ნემცურის ენის მცოდნე ახალთაობა, ისმენს ლიუტერის განდგომილს სწავლას.

ქრისტეს მიერ საყვარელნო ძმანო! მოგეხსენებათ, რა შედეგსაც მიგვწევს ეს სამწუხარო ამბავი, თუ ასე გაგრძელდა. ასაცილებლად იმ შემაძრწუნებელ შედეგისა, ჩვენ მოვიწადინეთ აღვაშენოთ აქ მართლ-მადიდებელთა ეკკლესია. მთავრობამ უყურადღებოდ არ დასტოვა ჩვენი კეთილი დაწყობილება და იმის დახმარებით შევაგროვეთ ორმოც თუმნამდე. ადგილობრივი მემამულენი გვპირდებიან ტყე-მასალას და ასაშენებელ ქვას უსასყიდლოდ, რომლის მოტანა იკისრეს თვით ნემცებმა. ასე, რომ განსახორციელებლად ამ აზრისა, გვჭირდება კიდევ იმოდენი ფული, რაც შეგროვილია ამ ჟამად. ეკკლესია იქმნება შინაურის ეკონომიით აშენებული, რომლისათვის კომიტეტმა შეიძინა სამასი ოთხ.-კ. საჟენი მიწა შუა ახალშენში უმაღლესის მთავრობის ბრძანებით.

ამისათვის, როგორადაც თვით ქართველი ერი, აგრეთვე მთავრობისაგან დადგენილი და დამტკიცებული კომიტეტი იერის მუხლს გულისა თვისისა და ღმობიერად სთხოვს ყველა ქრისტეს მოყვარე ქართველს, რომელნიც-კი ხახედულ არიან ბორჩალოელ ქართველთა ერის მწარე ხვედრ ცხოვრებაში,—აღვგიმართონ მკლავი მოწყალებისა და შეგვეწიონ ღვთის გულისათვის, ვისაც რით შეუძლიან. მათი სახელები იქნება სამუდამო მოსახსენებლად აღბეჭდილი მომავალ ეკკლესიის საკურთხეველსა შინა.

თავმჯდომარე კომიტეტისა, ქვეშის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიის მღვ. სტეფანე ბაიდოშვილი.

კომიტეტის წევრნი:
- მკურნალი—ვლ. ინაევი
- გამომძიებელი—Мих. Вас. Чиловъ
- ბოქ. გიორ. ი. თ. ანდრონიკაშვილი
- მწარმ. საქ. ი. ი. თ. ციციშვილი.

ადრესი შემოწირულებათა: *Черезъ Шулаверы, Комитету по постройкѣ Екатиненфельдской православной церкви.*

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи, И. Алхазова	„	30
Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи IV т. Н. Марра	3	„
Бальваръ и Іодасафъ, А. Хаханова	„	60
О грузинскомъ и русскомъ алфавитахъ съ педагогической точки зрѣнія Я. Гогебашвили	„	20
Неестественность „естественнаго“ метода въ дѣлѣ обученія языкамъ Л. Боцвадзе	„	10
Георгій XII, послѣдній царь Грузіи, Н. Дубровина	1	»
Очерки по исторіи грузинской словесности, А. Хаханова в. III	3	„
Замѣтки о городскомъ самоуправленіи на кавказѣ Г. Туманова	„	60
მეცნიერებისათვის წამებულნი, სურათებით, თარგმანი ა. ნიკიტინის	1	„
ველურობა და განათლება, თარგ. ს. ჯუღელის	„	30
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობის თარგმანი ა. ნატ. გიგაურის	„	50
ბრძნული სიტყვები	„	10
წმიდა აბო ტფილელი	„	30
ლაზარილიო ტორმესელი, ესპანიური მოთხრობა, თარგმ. ზ. უმიკაშვილის	„	10
ტფილისი, მ. ჯანაშვილის	„	50
თამარიანი, პოემა ს. გუგუნავასი	„	50
ნამყენი ვაზით ვენახის მოშენებას ქვარიანისა	„	5
სურამის ციხე, დ. ჭონქაძის	„	15
კონსტანტინე ბატონიშვილი, თ. ხუსკივაძის	„	5
ზღაპრები სურათებით	1	„

გაზეთი „ივერია“

გადავიდა საკუთრებად **„ივერიის“** ამხანაგობის ხელში

ამხანაგობამ უფლება ამ გაზეთის გამოცემისა შეიძინა ნოტარიუსის წესით დამტკიცებულ ხელ-შეკრულობით 6 აპრილს 1902 წ.

ამხანაგობაში მონაწილეობას იღებენ: თ. ამირეჯიბი, როსებ თადეოზის-ძე, დოქტორი ვაწაძე, სპირიდონ იოსების-ძე, დოქტორი გაბაშვილი, გრიგოლი დიმიტრის ძე, ლოლობერიძე, ნიკოლოოზ ბესარიონის-ძე, გოგებაშვილი იაკობ სვიმონის-ძე, გძელიშვილი გიორგი ივანეს-ძე, გუნცაძე ირაკლი ალექსანდრეს-ძე, თ. დიასამიძე, გრიგოლ ნიკოლოოზის-ძე, ჯაბადარი, ივანე სპირიდონის-ძე, მესხი, კონსტანტინე დავითის-ძე, მიქაბერიძე, ალექსანდრე ნიკოლოოზის-ძე, სარაჯიშვილი, ალექსანდრე ივანეს-ძე, დოქტორი ჩიქოვანი, ყარამან მანუჩარის-ძე და ყიფშიძე, გრიგოლ თეოდორეს ძე.

ამხანაგობის თანხა განსაზღვრულია 15,000 მან., განყოფილი 1,500 პაით, 10 მან. თითო პაი.

ვისაც სურს შეიძინოს პაი, კეთილ-ინებოს და მიჰმართოს „ივერიის“ რედაქციას, რომელიც იმყოფება სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, №№ 117 და 118.

ამხანაგობის საზოგადო კრებაზედ ხმა აქვს მხოლოდ იმას, ვინც შეიძენს არა ნაკლებ ათის პაისა.

რედაქციაში შეიძლება მსურველმა მიიღოს ეგზემპლიარი ხელ-შეკრულობისა.

კომპანია „გრამოფონი“.

ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი, სახლი ამიანცისა № 7.

ადრესი დეპეშებისათვის: ტფილისი გრამოფონკომპანია. ტელეფ. 69.

მრავალი გრამოფონი გვაქვს ყოვლად-გაუმჯობესებული.

დიდ-ძალი მეტალის ფირფიტები სახელ-განთქმულ და ცნობილ მომღერალთა, როგორც მაგალ. რუსთა, ქართველთა, სომეხთა, თათართა, სპარსთა, ოსმალთა, პოლონელთა, ფრაგთა, ინგლისელთა, იტალიელთა, გერმანელთა, და სხვათა მომღერალთა.

ფირფიტების არჩევის დროს ვთხოვთ მიაქციონ ყურადღება ჩვენს საფაბრიკო დამღას: „მწერალი ანგელოზი“, ურომლისოდაც ფირფიტა ყალბი იქნება უსათუოდ.

კომპანიის საწყობთან განსაკუთრებული სახელოსნოა, რომელიც, თუ საჭიროა, გაჰმართავს და შეაკეთებს გრამოფონს.

კომპანია ბუღდავანოვი კისრულობს, რომ გრამოფონი წესიერად იმუშავებს სამის წლის განმავლობაში.

მაღაზია თავის ხარჯით კისრულობს საქონლის შეხვევას, ყუთში მოთავსებას და გაგზავნას.

გაგზავნა რკინის გზის ყველა სადგურზედ (ზაფხულში გემითაც) კომპანიის ხარჯით შეიძლება.

ფოსტით გაგზავნის ხარჯსაც სასახევროდ კამპანია კისრულობს.

კვირაობით მაღაზია დაკეტილია, სხვა დღეებში-კი ღიაა დილის 8½ საათიდგან საღამოს 9 საათამდე.

შეიძლება მოითხოვოთ დასურათებული კატალოგები.

ნაღდად მყიდველთ ახალი პრეისკურანტები ეგზავნებათ მოთხოვნილებისამებრ. (10—431—8)

საბუხგალტერო კლასები

ტფილისის საკომერციო სასწავლებელთან

(წელიწადი მესამე).

სწავლა დაიწყება 2 ოქტომბერს. კურსი განგრძობილ იქნება არა ნაკლებ 6 თვისა. **მეცადინეობა საღამოობით, კვირაში სამჯერ.** მსმენლებად შეუძლიანთ იყვნენ **წერა-კითხვის მცოდნენი ორივე სქესისა.**

ფასი 40 მანეთი მთელის კურსისათვის.

თხოვნები ტფილისის საკომერციო სასწავლებლის დირექტორის სახელზედ მიიღება ყოველ-დღე, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე, საკომერციო სასწავლებლის შენობაში (ჩუღურეთი, რიყის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 11). (8—6.—8)

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეცხრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, **როგორც ქალებს, ისე ვაჟებს,** და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1902—1903 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია,** 2) **საკომერციო არითმეტიკა,** 3) **ბუხჰალტერია** (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით.** 5 **საკომერციო მიწერ-მოწერა,** 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი,** 7) მსწრაფლ-წერა და **წერა-გაკრული და შნოიანი** (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 16 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 2 სექტემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე გრიდონოვისა, № 9, სერგიევისა ბ ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს **ს. პ. მანუელიანცს,** ტფილისს.

უფასოთ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსებზე სწავლა ყოველ დღე.

(24—361—24)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 22 октября 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.